ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის წარსადგენი
ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: -**ოზურგეთის მუნიციპალიტეტი**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი -**ქეთევან ხომერიკი**

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)-**განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავჯდომარე**

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი -**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი**

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს წევრი -**ქართული ოცნება-„დემოკრატიული საქართველო“**

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში)

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ პროპორციული სიით

საანგარიშო პერიოდი: **01.10.2022 – 01.10.2023 წწ.**

ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე) -**მორიგი**

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა-**13**

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება -**13**

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი -**39**

საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება -**35**

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -**1**

საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -1

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა -19

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება -15

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები

1."ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ და ასევე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმა".
2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ". დადგენილების პროექტი
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა საკრებულოს - 2 დადგენილება, საკრებულოს - 1 განკარგულება

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

1. დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ". ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულოების პროექტი.
3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიციების შესახებ".
4. ქალაქ ოზურგეთში, ჭადრების პარკში (ს/კ 26.26.47.162), ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტის განთავფსების შესახებ.
5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მდგარადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის" დამტკიცების შესახებ პროექტი.

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -0

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა -10

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა -110

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

ძირითადად გულისხმობდა სოციალურ მხარდაჭერას და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით თანადაფინანსებას. ინფრასტრუქტურული პროექტები, წყაქლმომარაგება, გარეგანათება, სოფლებში კულტურული და სპორტული ღონისძიებების განხორციელების გამუჯობესება, სკოლების , ბაღების (სოფ.ნატანებში, ანასეულში) რეაბილიტაციის დაჩქარებას.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)
სამუშაო ჯგუფებში და კომისიის სხდომებსზე განხილვა, წინადადებების, რეკომენდაციების მომზადება და შუამდგომლობების გაწევა შესაბამის სტრუქტურებთან.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

დავესწარი ტრენინგ-სემინარებს საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ.

1. საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის საჯარო სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათ საჭირობებზე რეაგირების გაუმჯობესება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.
2. მიწვეული ვიყავი ევროსაბჭოს კონგრესისა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის თანამშრომლობის ფარგლებში ორგანიზებულ სემინარზე" ადამიანის უფლებათა სამართლის პრინციპები- შშმ პირთა მონაწილეობის ხელშეწყობა და უფლებების დაცვა ადგილობრივ დონეზე; ადგილობრივი ხელისუფლების როლი;
3. მივიღე მონაწილეობა განათლებისა და დასაქმების მიღმა მყოფი (NEET) ახალგაზრდების შესახებ ონლაინ ფოკუს ჯგუფში, პირველი ნაბიჯი იყო NEET ახალგაზრდების იდენტიფიციების მექანიზმის შექმნის პროცესში.
4. მონაწილეობა მივიღე ტალინში, ღია მმართველობის პარტნიორობის მე-8 გლობალურ სამიტში. სადაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობების ხელმძღვანელებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ გაეზიარებინათ ღიაობის, გამჭირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდისთვისა და კორუფციასთან ეფექტიანი ბრძოლისთვის საჭირო ინოვაციური მიდგომები.
5. დავესწარი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს.

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებულ შედეგები :

რეაბი8ლიტირებული იქნა შიდა გზების ნაწილი (სოფ.ნატანები) ექსპლუატაციაში შევიდა ჭაბურღილი, მოეწყო გარე განათება, გაუმჯობესდა ქალაქის იერსახე, წინა საანგარიშო წელთან შედარებით 32% ით გაიზარდა ჯანდაცვის თანადაფინანსება.

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ

1. სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის დახმარების წესისი დახვეწა.

2. 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების „განათლების და სპორტის '' მიმართულებების დაფინანსების გაზრდა.

3. საკრებულოში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმების დახვეწა.

ანგარიშის მომზადების თარიღი -- 01.10.2023 წ.

ანგარიშის წარდგენის თარიღი -- 03.10.2023 წ.

ხელმოწერა ----------ქ. ხომერიკი